



საქართველოს საბჭოთა ცენტრალური სამინისტროს  
რესპუბლიკის

გთავაობის

## დადგენილებათა და განვარიზულებათა პრეზენტი

1940 წ. ნოემბრის 11

№ 27

თბილისი

თ ი ნ ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. ვ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი.

117. საქართველოს სსრ-ში სახელოსნი სასწავლებლების, რეკონიგუსის სასწავლებლებისა და საფამილიურ-საქართვის სწავლების სკოლების ორგანიზაციის შესახებ.

118. 1940—41 წელს პირუტყვის გამოსაშორებისათვის მხადების მიმდინარეობის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

119. სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ.

120. ხე-ტყის დამზადების მოსამზადებელ და დამზარე სამუშაოებზე გამომუშავების ერთიანი ნორმებისა და სატარიფო განაკვეთების შემოღების შესახებ.

121. იაკობ სიმონის-ძე გოგებაშვილის ბსოების უკედავყოფის შესახებ.



## სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (გ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

**117.** საქართველოს სსრ-ში სახელოსნო სასწავლებლების, რეკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების ორგანიზაციის შესახებ.

საქ. კ. პ. (გ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 4 და 9 ოქტომბრის დადგენილებათა განსახორციელებლად, საქ. კ. პ. (გ) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოეწყოს საქართველოს სსრ-ში 10 სახელოსნო სასწავლებელი მოსწავლეთა კონტინგენტით—2.800 კაცი და რეკინიგზის ერთი სასწავლებელი კონტინგენტით—300 კაცი, აქედან:

ა) ქ. ობილისში—6 სახელოსნო სასწავლებელი მოსწავლეთა კონტინგენტით—2.100 კაცი და რეკინიგზის ერთი სასწავლებელი მოსწავლეთა კონტინგენტით—300 კაცი;

ბ) ქ. ბათუმში—ერთი სახელოსნო სასწავლებელი კონტინგენტით—300 კაცი;

გ) ქ. ჭიათურაში—ერთი სახელოსნო სასწავლებელი კონტინგენტით—100 კაცი;

დ) ქ. ბორჯომში—ერთი სახელოსნო სასწავლებელი კონტინგენტით—200 კაცი;

ე) ქ. წულუკიძეში—ერთი სახელოსნო სასწავლებელი კონტინგენტით—100 კაცი;

2. მოეწყოს საქართველოს სსრ-ში საბათრიკო-საქარხნო სწავლების 9 სკოლა მოსწავლეთა კონტინგენტით—1.600 კაცი, აქედან:

ა) ქ. ობილისში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების 2 სკოლა კონტინგენტით—480 კაცი;

ბ) ქ. ჭიათურაში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთი სკოლა კონტინგენტით—200 კაცი;

გ) ტყიბულში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთი სკოლა კონტინგენტით—200 კაცი;

დ) ტყვაარჩელში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთი სკოლა კონტინგენტით—200 კაცი;

ე) ქ. სოხუმში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთი სკოლა კონტინგენტით—100 კაცი;

ვ) ქ. ქუთაისში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთი სკოლა კონტინგენტით—150 კაცი;

ზ) ქ. სტალინირში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთი სკოლა კონტინგენტით—100 კაცი;

თ) ქ. სამტრედიაში—საფაბრიკო-საქარხნო სწავლების ერთი სკოლა კონტინგენტით—170 კაცი.

3. იმ მიზნით, რომ სახელოსნო სასწავლებლები, რკინიგზის სასწავლებლები და საქარხნო-საფაბრიკო სწავლების სკოლები უზრუნველყოფილ იქნან სასწავლო-საწარმოო სადგომებითა და საერთო საცხოვრებლებით:

ა) დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. ს. იშხანოვს და მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავისუფლობარებს ამხ. ი. კოჭლამაზაშვილს 1940 წ. 7 ნოემბრამდე უზრუნველყონ სადგომების გამოყოფა სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების 1.480 მოსწავლის საერთო საცხოვრებლებისათვის;

ბ) დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. გორდეზიანს „სსრ კავშირის სამკომისაბჭოსთან შრომითი რეზერვების მთავარ სამმართველოს შექმნის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 25, მუხ. 602) სსრ კავშირის სახელმისაბჭოს 1940 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად, გადასცეს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს კამის სახელობის ქარხნის შენობა (მოწყობილობით), რომელიც წინათ საფაბრიკო-საქარხნო სკოლას ეკუთვნილა; სახელშეკრულებო საფუძველზე გადასცეს პოლიგრაფიული ტექნიკუმის შენობა სახელოსნო სასწავლებლისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოსათავსებლად;

გ) დაევალოს ბერიას სახელობის რკინიგზის სამმართველოს უფროსს ამხ. კიქაძეს 1940 წ. 1 ნოემბრიდან გადასცეს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს საქ. ალექს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სკოლის სასწავლო-საწარმოო შენობა მოწყობილობით და საერთო საცხოვრებელი თბილისში.

დ) დაევალოს საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარს ამხ. ლ. რუხაძეს სახელშეკრულებო საფუძველზე გადასცეს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს თბილისის მაუდის ფაბრიკასთან არსებული საფეიქრო სასწავლო კომისიატის შენობა, სადაც მოთავსებული უნდა იქნას სახელოსნო სასწავლებელი კონტინენტით 285 კაცი.

ე) დაევალოს ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის დირექტორს ამხ. რობაქიძეს 1940 წ. 1 ნოემბრისათვის გადასცეს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს სახელშეკრულებო საფუძველზე ფაბრიკა-სკოლის სადგომი;

ვ) დაევალოს სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის დირექტორს ამხ. დ. ჭიჭინაძეს და კიროვის სახელობის ქარხნის დირექტორს ამხ. ნ. ორჯვონიგიძეს გადასცენ საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს საფაბრიკო-საქარხნო სკოლის სასწავლო-საწარმოო შენობა და საერთო საცხოვრებელი სახელოსნო სასწავლებლისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლის მოსათავსებლად.

4. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. კოჭლამაზაშვილს ერთი დეკადის ვადაში გადაიყ-

ვანოს მე-61 საშუალო სკოლა და საბავშო ბაღი კამის სახელობის საფაბრიკო-საქართველოს სკოლის ყოფილი საერთო საცხოვრებლის სადგომიდან.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარის ამბ. ჩიბურდანიძეს 1940 წ. 1 ნოემბრამდე გაანთვავისუფლოს და საქართველოს სსრ შრომითი ორგანიზაციის სამმართველოს გადასცეს სახელოსნო სასწავლებლის მოსათავესბლად საფაბრიკო-საქართველოს სკოლის ყოფილი შენობის პირველი და მეორე სართულები ბორჯომში.

6. წინადადება მიეცეს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშავთა პროფესიონალის ცენტრალურ კომიტეტის —ამბ. მურუსიძეს 1940 წ. 1 ნოემბრამდე გადასცეს საქართველოს სსრ შრომითი ორგანიზაციის სამმართველოს ბორჯომში ის შენობა, რომელიც წინათ საფაბრიკო-საქართველოს სკოლას ეკუთვნოდა.

7. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარის ამბ. გორდეზიანს 1940 წლის 1 ნოემბრამდე გადასცეს საქართველოს სსრ შრომითი ორგანიზაციის სამმართველოს ბათუმის ინდუსტრიული ტექნიკუმის შენობა, სასწავლო-საწარმოო ბაზა და საერთო საცხოვრებელი.

8. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამბ. თვალგრელიძეს და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამბ. ფუტკარაძეს უზრუნველყონ შენობების გამოყოფა სახელოსნო სკოლის 80—100 მოსწავლის საერთო საცხოვრებლისათვეის.

9. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწასხომს —ამბ. ხოშტარიას 1940 წ. 1 ნოემბრამდე გაანთვავისუფლოს სახელოსნო სასწავლებლის ყოფილი შენობა ქ. წულუკიძეში და გადასცეს იგი შრომითი ორგანიზაციის სამმართველოს.

10. მიღებული იქნას ცნობად ტრესტ ტყიბულქვანახშირის მმართველის ჩიკვაიძის და ტრესტ ტყვარჩელქვანახშირის მმართველის ამბ. დათუაშვილის განცხადება, რომ საფაბრიკო-საქართველოს სწავლების ახლად მოწყობილი სკოლებისა უკიდურეს ტრესტები გამოყოფენ საერთო საცხოვრებლებს —ტყიბულში 200 კაცისათვის და ტყვარჩელში 200 კაცისათვის.

11. დაევალოს საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანს ამბ. ბარამიას, აფხაზეთის ასსრ სახკომისაბჭოს თავმჯდომარეს ამბ. ჭიჭინაძეს, საქ. კ. პ. (ბ) სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანს ამბ. კ. ცხოვრებაშვილს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეცურატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ამბ. ხუბავეს, ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამბ. ნარსიას, და საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამბ. ჯინგარაძეს, ჭიათურის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამბ. სხილაძეს და საქალაქო აღმასკომის თავმჯდომარეს ამბ. კაპანაძეს, წულუკიძის რაიონმის მდივანს ამბ. ჭახნაკიას და რაიონმასკომის თავმჯდომარეს ამბ. კობეშავიძეს, ტყიბულის რაიონმის მდივანს ამბ. ჭანულაძეს და რაიონმასკომის თავმჯდომარეს ამბ. კასრაშვილს, სამტრედიის რაიონმის მდივანს ამბ. გაბუნიას და რაიონმასკომის თავმჯდომარეს ამბ. დუნდუას მათი პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ სახელოსნო სასწავლებლები და საფაბრიკო-საქართველოს სწავლების სკოლები, ამ დადგენილების

შესაბამისად, სასწავლო-საწარმოო შენობებით, საერთო საცხოვრებლების და შესრულება აცნობონ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს და საქართველოს სსრ სახკომისამდებრივ 1940 წლის 3 ნოემბრამდე.

12. დაევალოს ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას საქ. კ. პ. (ბ) საოლქო, საქალაქო და სარაიონო კომიტეტებთან ერთად 5 დღის ვა-დაში შეარჩიოს სახელოსნო სასწავლებლების, რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების დირექტორთა, სასწავლო-საწარმოო ნაწილის გამგეთა კანდიდატები და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს.

13. დაევალოს საქართველოს სსრ შრომითი რეზერვების სამმართველოს — ამხ. ჩხეიძეს საქ. კ. პ. (ბ) საქალაქო და სარაიონო კომიტეტებთან ერთად 10 დღის ვა-დაში დააყომებლეტის სახელოსნო სასწავლებლები, რკინიგზის სასწავ-ლებლები და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლები უფროსი ოსტატებით, პროფესიების მასწავლებელი ოსტატებით, საერთო-საგანმანათლებლო და სპე-ციალურ დისკიპლინათა მასწავლებლებით, კომენდანტებითა და სამხედრო-ფიზკულტურული მხადების მასწავლებლებით.

14. დაევალოს ცენტრალური კომიტეტის კადრების განყოფილებას და სა-მრეწველო განყოფილებას შრომითი რეზერვების სამმართველოსთან ერთად 5 დღის ვა-დაში შეიმუშაონ და ცენტრალურ კომიტეტს და სახალხო კომისართა საბჭოს წარმოუდგინონ იმ კადრების პროფესიათა ნუსხა, რომლებიც მომზადე-ბული იქნებიან სახელოსნო სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლე-ბის სკოლებში.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი

თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

კ. შერიშვილი.

1940 წ. ოქტომბრის 18. № 2051.

თბილისი.

118. 1940-41 წელს პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების შიმდინარეო-ბის შესახებ.

საქართველოს სსრ მიწსახკომის მიერ ჩატარებული ვთელი რიგი რაიონე-ბის შემოწმების შედეგად გამორკვეულია, რომ პირუტყვის გამოზამთრებისა-თვის მზადება არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

ზოგიერთი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები დაუშევებელ უდარცველობას იჩინენ პირუტყვის ნორმალური გამოზამთრების ორგანიზაციის საქმეში. კველა რაიონულ ორგანიზაციას როდი გაუთვალისწინებია გამოზამთ-რებისათვის მზადებაში გასულ წელს დაშვებული შეცდომები, როდესაც საზოგა-

დოკუმენტით პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილი არ იყო სადგომებით, საკვების საქმაო რაოდენობითა და სათანადო მოვლით.

დაუშვებლად ჩამორჩენილია პირუტყვის სადგომების მშენებლობა, რემონტი, დათბუნვა და დეზინტეგირება.

ყარაიის რაიონში 1940 წ. 15 ოქტომბრის მდგომარეობის მიხედვით, კოლმეურნეობებში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 4 სადგომიდან და 6 სალორიდან, რომელიც კოლმეურნეობებში შენდება, დამთავრებული არ არის არცერთი სადგომი.

ბორჩალოს რაიონში დამთავრებული არ არის საძროხების მშენებლობა 750 სული პირუტყვისათვის. აბაშის რაიონის კოლმეურნეობებში პირუტყვის 13 სადგომიდან, რომელთა მშენებლობაც გათვალისწინებულია, დაწყებული არ არის პირუტყვის 7 სადგომის მშენებლობა.

ბორჯომის რაიონში დამთავრებულია მშენებლობა პირუტყვის სადგომებისა მხოლოდ 340 სულისათვის, როდესაც გევმით გათვალისწინებული იყო მათი აგება 2073 სულისათვის, ხოლო 670 პირუტყვის ადგილის მშენებლობა შემოწმების მომენტისათვის დაწყებული არ იყო.

პირუტყვის სადგომების მშენებლობაში ჩამორჩენილია აგრეთვე გურჯაანის, დუშეთის, სიღნალის, ბოგდანოვების, ქარელის, გორის, კასპისა და თეთრი წყაროს რაიონების კოლმეურნეობები.

მიუხედავად იმისა, რომ მთლიანად რესპუბლიკაში თივის თიბვის გეგმა გადაჭარბებით შესრულდა (გათიბულია 200.488 ჰექტარი, ნაცელად გეგმით გათვალისწინებული 165.000 ჰექტარისა), ზოგიერთმა რაიონმა ჩაშალა თივის აღების გეგმის შესრულება: ხობის რაიონმა თივის თიბვის გეგმა შეასრულა 62,6 პროცენტით, ქარელის რაიონმა—31, წყალტუბოს რაიონმა—28 და მცხეთის რაიონმა—71,5 პროცენტით.

ზოგიერთ რაიონებში ნამჯა მთლიანად არ არის დაბულულებული, ხოლო ბევრ კოლმეურნეობაში ნამჯის ბულულები დატოვებულია შემოდგომის ნათესების მინდვრებში.

რესპუბლიკაში საკვების დასილოსების გეგმა 100.000 ტონის რაოდენობით შესრულებულია მხოლოდ 70,9 პროცენტით. დასილოსების გეგმის შესრულებას შლიან: ყარაიის რაიონი, რომელმაც სილოსის ჩადების გეგმა შეასრულა 4,8 პროცენტით, წულუკიდის რაიონი—3,5 პროც., ხობის—22,7 პროც., ჩოხატაურის—25 პროც., ყვარლის—39,2 პროც., აბაშის—55,2 პროც., თეთრი-წყაროს—62,7 პროც., სიღნალის—77,3, პროც. გურჯაანის—74,2 პროც., ხოლო ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობები დასილოსებას ჯერ არ შესდგომიან.

ყარაიის, ბორჩალოს, სიღნალის, გურჯაანის, საგარეჯოს, ბაშკიჩითის და მთელ რიგ სხვა რაიონებში კოლმეურნეობათა უმრავლესობაში არ შესდგომიან საკვების მიზიდვას პირუტყვის ზამთრის სადგომებთან.

ზამთრისათვის პირუტყვის მომზადების სამუშაოთა არადამაქაყოფილებელი მიმდინარეობა ჰქმნის სერიოზულ ნაკლოვანებათა განმეორების საფრთხეს,

რომლებსაც ადგილი ჰქონდათ გასულ წელს, როდესაც ზოგიერთ რაიონში დაბრუნდა. ლუპა პირუტყვის, განსაკუთრებით მოზარდეულის მნიშვნელოვანი რაოდენობა. ასე, მაგალითად, 1940 წლის პირველ ნახევარში წალკის რაიონის კოლ-მეურნეობებში დაიღუპა ხბოების 12,8 პროც., ბატკნების — 19,1, პროც., გოჭების — 26,3 პროც., ბაშკიჩითის რაიონში დაიღუპა ხბოების — 9,0 პროც., ბატკნების — 15,3 პროც. და გოჭების — 16,3 პროც. ყარაიის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში 1940 წლის ნამატიდან — 50 ხბოდან დაიღუპა 28, ხოლო კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 27 ხბოდან დაიღუპა 11.

მოზარდეულის მნიშვნელოვან სიკედილიანობას ადგილი ჰქონდა აგრეთვე სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებში და თიანეთის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, საგარეჯოს, ორჯონივაძის და წალენჯიხის რაიონებში.

პირუტყვის გამოზამთრების საქმეში გასული წლის სერიოზული შეცდომების განმეორების თავიდან აცილების მიზნით და სსრ კავშირის სახელმსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 18 ოქტომბრის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) საოლქო კომიტეტებსა და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის და იქარის ასს რესპუბლიკების სახელმსაბჭოებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომიებს, მიწათმოქმედების ორგანოებს და კოლმეურნეობათა გამგეობებს:

1. ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დაუყოვნებლივ მოაწყონ და არა უგვიანეს 1940 წ. 10 ნოემბერისა დამთავრონ ზამთრისათვის მზადების სამუშაოთა შემოწმება, ყოველ ცალკეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში დასახონ და განსახორციელონ ლონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებას.

2. ორი დეკადის ვადაში დამთავრონ პირუტყვის ყველა სადგომის მშენებლობა და რემონტი და ამ მიზნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გამოჰყონ სპეციალური სარემონტო-სააღმშენებლო ბრიგადები და ამ მშენებლობას მოახმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული სააღმშენებლო მასალები.

ამავე ვადისათვის დამთავრონ პირუტყვის სადგომების დასუფთავება, დეზინფექცია და დათბუნება.

3. უზრუნველყონ საკვების დასილოსების დაწესებული გეგმის აუცილებლად შესრულება, დასილოსებისათვის მთლიანად გამოიყენონ მებოსტნეობის, მებახჩეობის ყველა ნარჩენები, ბალახების წამონაზარდი და განსაკუთრებით შაქრის ჭარხლის ფოჩი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ. დასილოსების ხარისხს.

4. ერთი დეკადის ვადაში გამოარცვიონ საკვების ყველა არსებული რესურსები, საზოგადოებრივი პირუტყვისათვის გამოჰყონ საფურავე ფონდები წლიური

საკიროების რაოდენობით, შექმნან საკვების ხელშეუხებელი ფონდი 20 პროცენტის რაოდენობით, ხოლო თივისა — არანაკლებ ვიზუ 20 პროცენტის რაოდენობით.

1940 წ. 10 ნოემბრამდე მთლიანად გაიტანონ მინდვრებიდან, კერძოდ სა-შემოდგომო ნათესების მინდვრებიდან მთელი ნაშვა და სიმინდის ჩალა და დაა-ბულულონ ისინი პირუტყვის ზამთრის სადგომებთან.

5. დააწესონ სასტიკი კონტროლი საკვების დაცვისა და ხარჯვის, აღკვე-თონ პრატერია, როდესაც შემოდგომიდან საკვებს გაძლიერებით ხარჯვავნ, ხო-ლო გაზაფხულის დამდეგისათვის, მინდვრის სამუშაოების წინ საკვები არა ჰყოფნით.

საკვების უკეთ გამოყენების მიზნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურ-ნეობებში ფართოდ მოაწყონ საკვების მომზადება და გადამუშავება პირუტყვის დამატებითი კვებისათვის (საკვების გაწმენდა, დაჭრა, დალერლვა, დამდუღვრა და სხვ.).

6. შეამოწმონ რამდენად უზრუნველყოფილი არიან მეცხოველეობის ფერ-მები მუდმივი კადრებით — ფერმების გამგებით, ბრიგადირებით, პირუტყვის მომზელებით, შეჯინიბებით, მელორებით, მწველავებით და სხვა მუშავებით, შეავსონ მათი შემადგენლობა გამოცდილი და მეცხოველეობის საქმის მოყვარუ-ლი აღამინარებით, ბოლო მოულონ გაუპიროვნებას პირუტყვის მოვლაში და ამ კადრების ხშირ ცვალებადობას, რომლებიც სწყვეტენ საზოგადოებრივი მეცხო-ველეობის წარმატებას.

7. უფლება მიეცეს რაიონულ ზოოტექნიკოსს და რაიონულ ვეტერების, სა-კოლმეურნეო პირუტყვისადმი დაუდევარი დამოკიდებულების აღმოჩენის შემთ-ხვევაში, დააჯარიმონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარები ან ფერმების გამგები მათი პირადი სახსრებიდან 100 მანეთის ფარგლებში. პირუტყვისადმი დაუდე-ვარ დამოკიდებულებაში დამნაშავე პირთა დაჯარიმება სწარმოებდეს რაიაღმას-კომების დამტკიცებით.

8. პირუტყვის გამოზამთრებისათვის მომზადების საქმეში დახმარების აღ-მოჩენის, სანიტარულ-ვეტერინარული დამუშავებისა და კოლმეურნეობათა მეც-ხოველეობის კადრებისათვის ინსტრუქტაციის გაწევის მიზნით დაევალოს საქარ-თველოს სსრ მიწასახომს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მიწასახ-კომებს, საშჩრეთ-ოსეთის აეტონმიური ოლქის მიწათმოქმედების საოლქო გან-ყოფილებას. და მიწათმოქმედების რაიონულ განყოფილებებს დაუყოვნებლივ გაგზავნონ კოლმეურნეობებში მთელი ზოოვეტპერსონალი ერთი თვის ვადით.

9. დაევალოს საქართველოს კ. პ. (ბ) სოლჯო კომიტეტებისა და რაიონ-მების მდივნებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკათა სახეომსაბჭოების თაემჯდომარებს, საშჩრეთ-ოსეთის აეტონმიური ოლქის აღმასკომის თაემჯდო-მარებს და რაიონული აღმასკომების თაემჯდომარებს 1940 წლის 10 ნოემბრა-შედე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ სახეომსაბჭოს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ანგარიში ჩატარებული შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (გ) ცენტრალური კომიტეტი მოაგონებენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყველა ხელმძღვანელებს, აგრეთვე კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეებს, რომ პირუტყვის გამოზამთრების უნარით ჩატარებაზე, სუფთა, თბილი ბინებითა და ხარისხოვანი საკეციათ შის უზრუნველყოფაზე მთლიანად და საესებით დამოკიდებულია მოზარდებულის შენარჩუნება და გაზრდა და საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარება.

საქ. სსრ ს.კ.ს.-ოს  
თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (გ) ც. კ.-ის  
მდივანი კ. ჩარკვიანი.

1940 წ. ოქტომბრის 23. № 2065.  
თბილისი.

## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

**119.** სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ალნიშნავს, რომ სასოფლო საბჭოების მუშაობა აღრიცხვისა და პირველადი დოკუმენტაციის დარგში მიმდინარე წელს, გასულ წელთან შედარებით, გაუმჯობესდა.

აღრიცხვა და პირველადი დოკუმენტაცია დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მახარაძის, ლანჩჩუთის, გორის, ხაშურის, ორჯონივიძისა და ზოგიერთი სხვა რაიონების სასოფლო საბჭოებში.

ამასთან ერთად კასპის, ზესტაურის, ქუთაისის, ჩხოროწყუს, ვანის, გეგეურის, ცხაკაის, ქარელისა და ბორჩალოს რაიონების ბევრ სასოფლო საბჭოში სრულიად არ სწარმოებს კოლმეურნეობის ძირითად საწარმოო მაჩვენებელთა აღრიცხვის უურნალი (ფორმა № 1), ხოლო იმ სასოფლო საბჭოებში სადაც ეს უურნალი შემოღებულია, მასში შეტანილი არ არის საჭირო ცნობები 1940 წლისათვის.

ცხაკაის, ჩხოროწყუს, გეგეურის, წყალტუბოს, ქუთაისის, ტყიბულის, ვანის, სამტრედიის, თიანეთის, გურჯაანის, სიღნაღის, კასპის, ბორჩალოს, ზესტაურის, ჩხარის, ბაშკიჩის, თბილისის, საჩხერის, ჭიათურის რაიონების მთელ რიგ სასოფლო საბჭოებში სისტემატურად არ სწარმოებს კოლმეურნეთა მეურნეობების ძირითადი საწარმოო მაჩვენებლების ჩაწერა საკომლო წიგნებში (ფ. № 2) და ერთპიროვნულ მეურნეთა საკომლო წიგნებში (ფ. № 3).

ბაშკიჩის, თელავის, სიღნაღის, თიანეთის, ზუგდიდის, ვანის, ცხაკაის, ქუთაისის, ტყიბულის, სამტრედიის, წყალტუბოს რაიონების ზოგიერთ სასოფლო საბჭოში სრულიად არ სწარმოებს სასოფლო საბჭოს მიერ გაერთიანებულ მეურნეობათა სიები (ფ. № 4) და დროებით მცხოვრები მოსახლეობის სია (ფ. № 4-ა).

ტყიბულის, წყალტუბოს, ქუთაისის, ობილისის, საჩხერის, ქარელის, ასენის, ჩხოროწყუს, კასპის, ზესტაფონის, ვანის, გევეჯურის რაიონებში ანგარიშ-გება სასოფლო-სამეურნეო კამპანიების მიმდინარეობის შესახებ ნაგლეჯ ქალალდება სდგება პირველადი დოკუმენტების დაურთავად, რაც შეუძლებელს ხდის წარმოდგენილი ცნობების შემოწმებას.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოში სრულიად არ არის შემოღებული ან არა-სწორად სწარმოებს სანოტარო მოქმედების (ფ. № 60), საოქმო (ფ. № 50) და საალფაბეტო წიგნები.

ბევრ სასოფლო საბჭოში, ინსტრუქციით დადგენილი წესის პირდაპირ და-სარღვევად, საკომლო წიგნები და სხვა სააღრიცხვო დოკუმენტები ფულადი დოკუმენტებისა და ფასიანი ქალალდების თანაბრად კი არ ინახება, არამედ მა-გიდებშე, თაროებზე და დაუკეტავ ყუთებში აწყვია.

სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მოწესრიგების და არსებულ დარღვევათა გადაქრით აღმოფხერის მიზნით, საქართველოს სსრ სახალხო კო-მისართა საბჭო აღეცნა:

1. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს ჩატარონ სასოფლო საბჭოე-ბის მდივნების თათბირები, რომლებზედაც მოისმინონ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონული ინსპექტორების მოხსენებანი და განიხილონ ღონისძიება-ნი, რომლებიც უზრუნველჲყოფენ პირველადი აღრიცხვის მოწესრიგებას სასოფ-ლო საბჭოებში.

2. წინადადება მიეცეს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების ყველა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეებს, მათი პირადი პასუხისმგებ-ლობით 1940 წლის 20 ოქტომბრამდე ჩატარონ საკომლო წიგნებისა და აღ-რიცხვის სხვა ფორმების შემოწმება სასოფლო საბჭოებში, გამოარკვიონ თუ რამდენად შეტანილია მათში ყოველგვარი საჭირო მაჩვენებლები და წესრიგში მოყვანონ სასოფლო საბჭოს აღრიცხვა.

3. დაევალოს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრუ-ლებელი კომიტეტების თავმჯდომარეებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა სასოფ-ლო საბჭოებისადმი პირველადი აღრიცხვის სწორად დაყენების საქმეში, რის-თვისაც კვარტალში ერთხელ მაინც მოისმინონ აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე სასოფლო საბჭოებში პირველადი აღრიცხვის მდგომარეობის სა-კითხი და მიიღონ კონკრეტული ზომები აღრიცხვის მოსაწესრიგებლად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამა-რთველოს და მის ადგილობრივ ორგანიზმებს სისტემატურად გაუწიონ ინსტრუქ-ტაჟი და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ სასოფლო საბჭოებს პირველადი აღრიცხვის დაყენების საქმეში.

5. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღრიც-ხვის სამართველოს უფროსს ამხ. გელაშვილს მტკიცედ ადეგნოს თვალყური იმას, რომ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონულმა ინსპექტორებმა შეას-

ଶାଶ୍ଵତ ପରିଷଦିର ପାଇଁ ବିଭିନ୍ନ ମହିନେ ପରିବହନ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି।

ବିଭିନ୍ନ କାର୍ଯ୍ୟରେ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି।

ମହିନା ମାତ୍ରାରେ ଏକ ମହିନେ



ପ୍ରକାଶନ 40 ପାତା।

ଲେ. କ୍ଷ. ଶ୍ରୀ କାର୍ଯ୍ୟର ସଂକଳନବିଭାଗ ପରିଷଦିର ପାଇଁ ବିଭିନ୍ନ ମହିନେ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି। ତଥାରେ ଏକ ମହିନେ କାମ କରିବାକୁ ଅନୁରୋଧ କରିଛି।

ମାତ୍ରା 1665

ପରିଷଦିର ପାଇଁ 2000